

ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- ა) მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა დაავადებათა გავრცელების შემცირების მიზნით;
- ბ) ინფექციურ დაავადებათა გართულებების პრევენცია და სიკვდილიანობის შემცირება.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანები

პროგრამის ამოცანებია:

- ა) ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა უზრუნველყოფა დროული და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარებით;
- ბ) ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია, ქრონიზაციის შემცირება.

მუხლი 3. კომპონენტები და მომსახურების მოცულობა

1. პროგრამა ხორციელდება ორ კომპონენტად.
2. პირველი კომპონენტია ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული დახმარების კომპონენტი, რომელიც მოიცავს:
 - ა) დიაგნოსტიკურ მომსახურებას:
 - ა.ა) პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის შეფასებას;
 - ა.ბ) პროფილური მომსახურების განსაზღვრას;
 - ა.გ) საჭიროების მიხედვით კლინიკო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარებას;
 - ა.დ) საჭიროების მიხედვით სპეციალისტების კონსულტაციებს;
 - ბ) სტაციონარულ მკურნალობას:
 - ბ.ა) გადაუდებელ მომსახურებას (რეანიმაცია);
 - ბ.ბ) სპეციალიზირებულ განყოფილებაში პროფილურ სტაციონარულ მომსახურებას.
3. მეორე კომპონენტია ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი.

მუხლი 4. პროგრამის მოსარგებლეები

1. ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული დახმარების კომპონენტის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები;
2. ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები (“უცხოელი” განიმარტება “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი მნიშვნელობით).
3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამას ახორციელებენ საქართველოში ლიცენზირებული ინფექციური პროფილის სამედიცინო დაწესებულებები.
2. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია

1. მომსახურება ჯგუფდება კატეგორიების მიხედვით და ფინანსდება ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დადგენილი საშუალო ღირებულებით.
2. ნოზოლოგიური ჯგუფების საშუალო ღირებულებები და პროგრამის მოსარგებლეების მიერ ასანაზღაურებელი თანაგადახდის მოცულობა განისაზღვრება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ნოზოლოგია	ღირებულება	თანაგადახდა		
		18წლამდე ე (20%)	18დან-60მდე ე (50%)	60-ისზემოთ (30%)
ინფექცია				
კრიტიკული (5 დღე) //3 წლამდე ასაკის პირებისათვის უფასო//	740	148	370	222
კრიტიკული (12 დღე) //3 წლამდე ასაკის პირებისათვის უფასო//	1680	336	840	504
ნაწლავთა ინფექციები	360	72	180	108
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი	480	96	240	144
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი (სპეც.მედიკამენტების გარეშე)	720	144	360	216
ნეიროინფექციები (ბაქტერიული)	880	176	440	264
ნეიროინფექციები (ვირუსული)	480	96	240	144
ანთებითი პოლინეიროპათიები	1200	240	600	360
სხვა ვირუსული ინფექციები	380	76	190	114
სხვა ბაქტერიული ინფექციები	580	116	290	174
სეფსისი				
უცნობი წარმოშობის ცხელება (ღ50)	442	88.4	221	132.6
სეფსისი მოზრდილთა	2150	430	1075	645
სეფსისი ბავშვთა	870	174	-	-
მძიმე სეფსისი მოზრდილთა	3420	684	1710	1026
მძიმე სეფსისი ბავშვთა	1700	340	-	-
კრიტიკული - პირველი 3 დღე	1950	390	975	585
ქირურგიული მკურნალობა	3025	605	1512.5	907.5
პარაზიტოლოგია				
პარაზიტოლოგია (სტაციონარი)	1200	240	600	360

3. სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ წარმოებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული პირების, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე, მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება სრულად.

4. 3 წლამდე ასაკის ბავშვთა კრიტიკული მდგომარეობების მომსახურება ანაზღაურდება სრულად.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

“ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამისათვის” 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები განისაზღვრა 2 121 000 ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

კომპონენტი	თანხა (ლარებში)
ინფექციური დაავადების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული დახმარების კომპონენტი	2 051 000
ეპიდაფეთქებების დროს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი.	70 000
სულ	2 121 000